სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის ბრძანება № 01-04/37

ქ. ქუთაისი

31 მაისი 2019 წ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი კონკურსი (<u>დანართი თან ერთვის</u>).
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად საკონკურსო პირობები, კერძოდ, კონკურსანტის განცხადების ფორმა, კონკურსანტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა, სარეგისტრაციო და საკონკურსო კომისიების მუშაობის პროცედურები, შერჩევის კრიტერიუმები და კონკურსთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებით, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის № 111 (17/18) დადგენილებით (კონკურსანტებმა იხელმძღვანელონ აღნიშნული დადგენილებით და ამ ბრძანებით).

3. საკონკურსო დოკუმენტების (საბუთების) მიღება განხორციელდეს 2019 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 7 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო დოკუმენტების (საბუთების) მიღება იწარმოებს ყოველდღიურად 09:00 საათიდან - 17:00 საათამდე (უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით) შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, მეორე სართული. ოთახი № 1211.
4. კონკურსი ჩატარდეს 2019 წლის 8 ივლისიდან 2019 წლის 12 ივლისის ჩათვლით (მათ შორის, 11 ივლისიდან 12 ივლისის ჩათვლით - გასაუბრება). გასაუბრება ჩატარდება. უნივერსიტეტის კორპუსებში.
5. სააპელაციო განცხადებების მიღება იწარმოებს 2019 წლის 13 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, მეორე სართული. ოთახი № 1211.
6. ამ ბრძანებით განსაზღვრულ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსით შერჩეულ პირებთან გაფორმდეს ვადიანი ხელშეკრულებები. კერძოდ:
   ა) პროფესორი - 6 წლის ვადით , 2019 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 სექტემბრამდე;
   ბ) ასისტენტ-პროფესორი 4 წლის ვადით, 2019 წლის 1 სექტემბრიდან 2023 წლის 1 სექტემბრამდე;
7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი".
8. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტირებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს რედაქციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი".
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **პროფ. როლანდ კოპალიანი**

დანართი

ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი

აგრარული ფაკულტეტი

მიმართულება - აგრონომიული

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული

ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

მიმართულება - სუბტროპიკული კულტურები

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

მიმართულება - სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგია

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) –2 ერთეული

ბ) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

მიმართულება - ლანდშაფტური არქიტექტურა

1) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული